პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 89 (3828)

8 1969 წ. მაისი. ხუთშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 25-ე წელი.

# ხვალ მთელი საბჭოთა ხალხი ზეიმით აღნიშნავს ფაშისტურ გერმანიასთან ომში გამარჯვების დღეს.




ნახ. ვ. იაშვილისა.

## მეცხრე პარტიის დასასრული




ბ. სპასკი — ტ. პეტროსიანი

გადადებული პარტიის დამთავრებისას მსოფლიო ჩემპიონი შეუპოვრად იცავდა თავს და ყაიმს მიაღწია. პარტია ასე გაგრძელდა: 41. მc4 (სპასკის ჩაწერილი სვლა) მh7 42. ლg2 კf8 43. ეa2 ეb7 44. მფc2 კe7 45. ეb1 ლb8 46. ეab2 მa8 47. ეa2 კd8 48. მფd3 კd7 49. ეba1 მf8 50. მფc2 კe8 51. ლe2 კc7 52. ეf1 კd8 53. ეaa1 მh7 54. ეg1 მf8 55. კd2 მh7 56. ეa3 მf8 57. ეga1 მh7 58. a5 ba 59. მ:a5 კ:a5 60. ე:a5 მc7 61. ეb1 მf8 62. კe3 მd7 63. ლf2 მფg7 64. მფd3 მფg8 65. ლa2 მb6 ყაიმი.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 5,5:3,5 სპასკის სასარგებლოდ.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

მოსკოვი.

## ვახტანგ ქარსელაძის მემორიალი

### გორის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის საკავშირო კონკურსი ამოცანებისა და ეტიუდების შედგენაში

საჭადრაკო კომპოზიციის შემდგომი პოპულარიზაციის მიზნით გორის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტი აცხადებს საკავშირო კონკურსს საჭადრაკო ამოცანებისა და ეტიუდების შედგენაში, რომელსაც ცნობილი მწვრთნელის ვ. ქარსელაძის ხსოვნას ეძღვნება.

### კონკურსის პირობები:

1. კონკურსი ცხადდება სამ და მრავალსვლიანი ამოცანების, აგრეთვე, ეტიუდების შედგენაში.

2. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ყველა მსურველს. ამისთვის საჭიროა ყოველი ნაწარმოები გამოიგზავნოს ორ ცალად დიაგრამაზე დახატული ავტორისეული ამოხსნით. თითოეულ განყოფილებაში ერთ ავტორს შეუძლია გამოგზავნოს მხოლოდ ორი ნაწარმოები.

3. თითოეულ განყოფილებაში დაწესებულია სამ-სამი პრიზი (I — 50 მან., II — 35 მან., III — 25 მან.), ხუთ-ხუთი საპატიო და საქები შეფასება.

4. საქართველოდან მონაწილეთათვის ყველა განყოფილებაში დაწესებულია სპეციალური პრიზები (თითოეული — 20 მან.), აგრეთვე, სამ-სამი საპატიო და საქები შეფასება.

5. საკონკურსო მასალები უნდა გამოიგზავნოს მისამართით: გორი, ი. სტალინის პრ. № 12, გორის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტი, კონვერტზე წარწერით: „საჭადრაკო კონკურსზე".

საკონკურსო მასალების გამოგზავნის უკანასკნელი ვადაა 25 სექტემბერი (საფოსტო შტემპელის მიხედვით).

ავტორივალდებულია ყოველ ნაწარმოებს გარკვევით მიაწეროს სახელი, მამის სახელი, გვარი, ბინის მისამართი და სამსახურის ადგილი.

6. კონკურსს უხელმძღვანელებს მსაჯთა კოლეგია: საერთაშორისო არბიტრი ა. ბატურინი (მოსკოვი) — მსაჯი ამოცანებში, საერთაშორისო არბიტრი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. კოროლკოვი (ლენინგრადი) — მსაჯი ეტიუდებში, და თ. გიორგაძე (თბილისი) — მსაჯი-ორგანიზატორი.

7. კონკურსის შედეგებს გამოაქვეყნებს „ლელო" ნოემბრის ბოლოს.

* * *

— საჭადრაკო კომპოზიციას, რომელსაც ჭადრაკის პოეზიას უწოდებენ, ბევრი მოყვარული ჰყავს გორში, — თქვა „ლელოს" კორესპონდენტთან საუბარში გორის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ მ. მეყანწიშვილმა. — გვყავს თვალსაჩინო ეტიუდისტი ი. კრიხელი, რომელიც ფიდე-ს საკომპოზიციო კომისიამ ოსტატ გ. ნადარეიშვილთან ერთად საერთაშორისო ოსტატის წოდებაზე წარადგინა. გორში ცხოვრობს პრობლემისტი გ. კუთარაშვილიც, რომელმაც თავი ისახელა გაზეთ „სოფლის ცხოვრების" I საკავშირო კონკურსში. ჩვენი მიზანია კიდევ უფრო შევაყვაროთ გორელებს საჭადრაკო კომპოზიცია.

ჩვენს კონკურსს ვ. ქარსელაძის მემორიალს შემთხვევით როდი ვუწოდებთ. ეს ღვაწლმოსილი მწვრთნელი თვითონ იყო კომპოზიციის დაუღალავი პროპაგანდისტი, მსაჯი და პრობლემისტი. მისი სახელი დაამშვენებს ღონისძიებას, რომელსაც, ვფიქრობთ, გამოეხმაურებიან ცნობილი ქართველი საჭადრაკო კომპოზიტორები გ. ნადარეიშვილი, ო. ტაბიძე, ვ. კალანდაძე, ვ. ნეიძე, ი. შოსტი, რ. თავარიანი, მ. იმნაძე, გ. ბასილაია, ვ. კვეზერელი, ვ. სერედა, ჯ. მახათაძე და სხვ.

## „განთიადი" ისევ პირველი

საბჭოთა ქვეყნის პროფკავშირების ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საკავშირო საბჭომ შეაჯამა ამ საზოგადოებათა შარშანდელი მუშაობის შედეგები და გამოავლინა გამარჯვებულნი.

მშრომელთა შორის მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის მაღალ დონეზე დაყენების, მაღალკვალიფიციური სპორტსმენების, მშთ ნიშნოსნების, თანრიგოსნების, საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადებაში თვალსაჩინო წარმატებისთვის, აგრეთვე, სანიმუშო ზოგადგამაჯანსაღებელი მუშაობისთვის „განთიადის" ცენტრალურ საბჭოს მიეკუთვნა I ადგილი და ზედიზედ მეცხრედ დაჯილდოვდა სპორტსაზოგადოებათა საკავშირო საბჭოს გარდამავალი წითელი დროშით, საპატიო სიგელითა და ფულადი პრემიით.

საზოგადოების ცენტრალური საბჭოს კოლექტივების ამ წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სპორტული კლუბების „განთიადის", „გამარჯვების", „ფოლადის", „უშბის", „კოლხიდის", აგრეთვე, რესპუბლიკის უმსხვილესი საწარმო-დაწესებულებებისა და სხვა მოწინავე ორგანიზაციების ფიზკულტურელებმა, რომლებმაც მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს რესპუბლიკურ ტურნირში და საკავშირო სარბიელზეც ბევრჯერ ისახელეს თავი.

მეცხრედ გამარჯვება „განთიადის" ფიზკულტურული ორგანიზაციების საკავშირო შეჯიბრებაში სპორტსმენებს ავალებს მეტი მონდომებით იმუშაონ მონაპოვრის შენარჩუნებისა და განმტკიცებისთვის, პროფკავშირთა V რესპუბლიკურ და IX საკავშირო სპარტაკიადებში წარმატებით მონაწილეობისთვის.

გ. კოვალიოვი.

(ჩვენი სპეც. კორ.).

მოსკოვი.

## [illegible] საათი.

◆ მოსკოვი, 7 მაისი. მსოფლიო ჩემპიონის ავადმყოფობის გამო არ შედგა ტ. პეტროსიან — ბ. სპასკის მატჩის X პარტია, იგი გათამაშდება 9 მაისს.

◆ თეირანი, 7 მაისი. აქ დაიწყო თავისუფალ მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ბულგარეთის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები გამოდიან. პირველი ორთაბრძოლები წინებულად ჩაატარეს ჩვენმა სპორტსმენებმა — ა. ალიევმა და გ. ყვარელაშვილმა.

◆ რიო-დე-ჟანეირო, 7 მაისი. ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონმა, სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა ნაკრებმა აქ დაამარცხა მეხიკოს თამაშების ვერცხლის პრიზიორი იაპონიის გუნდი — 3:1 (8:15, 15:7, 15:12, 15:8).

◆ კოპენჰაგენი, 7 მაისი. აქ სტუმრად მყოფი მექსიკის ფეხბურთელთა ნაკრები ეთამაშა დანიის ეროვნულ გუნდს და დამარცხდა ანგარიშით 1:3.

◆ ლოს-ანჯელესი, 7 მაისი. იამაიკელმა სპრინტერმა ლ. მილერმა კალიფორნიის ამ ქალაქში გამართულ მძლეოსანთა ასპარეზობაში 100 იარდზე რბენაში აჩვენა 9,3, 220 იარდზე კი — 20,7 წამი.

# გუშინ ჩვენმა ქვეყანამ აღნიშნა რადიოს დღე

# პრობლემა უამრავია

აპრილის მიწურულს დამთავრდა ხელბურთელ ვაჟთა წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის I წრე. ამ ეტაპზე 14 გუნდი იბრძოდა 8 ფინალისტს შორის მოხვედრისთვის. თბილისის „ბურევესტნიკმა" ეს ამოცანა წარმატებით გადაწყვიტა და პირველობისთვის ბრძოლას განავრძობს. პირველი წრის 6-6 შეხვედრა გუნდებმა კაუნასსა და რიგაში გამართეს. ეს იყო ორიოდე თვის წინ. მაშინ თბილისელებმა 12 შესაძლებელი ქულიდან მხოლოდ 6 დააგროვეს და, ამდენად, სახიფათო ზონაში იყვნენ. დანარჩენი 7 მატჩი მათ ახლახან ზაპოროჟიეში ჰქონდათ და 14 შესაძლებლიდან 11 აიღეს. სწორედ I წრის ფინიშზე კარგად გამოსვლამ მისცა თბილისელებს საშუალება 8 ფინალისტს შორის დამკვიდრებულიყვნენ.

„ლელოს" კორესპონდენტი ესაუბრა „ბურევესტნიკის" ერთ-ერთ მწვრთნელს ჯ. ბაგრატიონს.

● **ხელბურთის ქომაგები ერთობ შეშფოთებული იყვნენ უკანასკნელ ხანებში „ბურევესტნიკის" წარუმატებლობით. რა არის ამის მიზეზი?**

— პირველი მიზეზი ის გახლავთ, რომ გუნდში ძალიან დიდხანს გაგრძელდა თაობათა ცვლა. წავიდნენ ვეტერანები (რა დასამალია, მეც ვეტერანთა რიცხვს ვეკუთვნი), მათი ღირსეული ცვლა კი ჯერ არ ჩანს. ყოველივე ეს განაპირობა იმან, რომ ჩვენში ჯერ კიდევ მცირე რაოდენობითაა გახსნილი მოზარდთა ჯგუფები. ერთი სიტყვით, ნაკლები ყურადღება ექცევა ახალგაზრდა ხელბურთელების აღზრდას. შეიძლება ითქვას ისიც, რომ თვით წვრთნის მეთოდიკაშიც ყველაფერი არ არის რიგზე. უფრო მეტიც, არა გვაქვს სათანადო საწვრთნელი ბაზა. შორს ნუღარ წავალთ, ვარჯიშისთვის სათანადო მოედანი რესპუბლიკის საუკეთესო გუნდსაც კი არ გააჩნია.

● **თქვენ აღნიშნეთ, რომ ვეტერანები წავიდნენ. როგორც ვიცით, კოლექტივში ისევ დაბრუნდა თ. ანთაძე.**

— ანთაძე იშვიათი გამონაკლისია. ფაქტია, რომ იგი გუნდიდან წასვლის მომენტშიც შესანიშნავ სპორტულ ფორმაში იყო. ახლა უკვე ზედმეტია ძებნა, ვინ არის დამნაშავე, რომ მან სარბიელი დატოვა. ანთაძემ ახლაც, ხანგრძლივი შესვენების შემდეგაც არავის დაუდო ტოლი. საერთოდ, ცდებიან ისინი, ვინც მხოლოდ ასაკის მიხედვით აფასებს ამა თუ იმ მოთამაშის უნარს. ანთაძე იყო და ჯერჯერობით რჩება ჩვენი გუნდის მთავარ მაორგანიზებელ ძალად. შეიძლება ჩემგან უხერხულიც იყოს ჩემივე მეგობრის, ამასთან, გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელის ამდენი ქება, მაგრამ იგი უდავოდ კარგად ართმევს თავს მწვრთნელისა და მოთამაშის მოვალეობას. როგორც მწვრთნელი, იგი ჯაფას არ იშურებს, უფრო მეტიც, მუშაობს ახალგაზრდულ კოლექტივთანაც, რომლის წევრებმაც მომავალში უმტკივნეულოდ უნდა შეცვალონ ახლანდელი ბურევესტნიკელები. ესაა ჩვენი მთავარი ამოცანა.

● **ზაპოროჟიეში თქვენ 7 შეხვედრიდან 5 მოიგეთ, 1 ფრედ დამთავრეთ და მხოლოდ 1 მატჩი წააგეთ. ამ წარმატებაში ვის რა წვლილი მიუძღვის?**

— მთელი გუნდი მონდომებით იბრძოდა. იყო გამარჯვებისადმი დიდი სწრაფვა, ცოტა შეცდომები, მეტი სტაბილურობა, სანიმუშო სათამაშო დისციპლინა და სხვ. გუნდში ყველამ თავისი ადგილი იპოვნა. რაც მთავარია, ცერცვაძემ იპოვნა თავისი თავი. იგი კვლავინდებურად ბომბარდირთა ლიდერებში ჩადგა. საკმარისია ითქვას, რომ მან 7 მატჩში 51 გოლი გაიტანა და მხოლოდ 5 ბურთით ჩამორჩა ზაპოროჟიეს ტურის პირველ ბომბარდირს, ლვოველ ა. რატნიკოვს. ეს მხოლოდ დასაწყისია. ვფიქრობ, ძველი ტანდემის: ცერცვაძე — ანთაძის თამაში მომავალში უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს გუნდს. აქამდე ცერცვაძე მარტო იყო, მხოლოდ მას უხდებოდა თამაშის ორგანიზებაც და გოლის გატანაზე ზრუნვაც. საუცხოოდ ითამაშა აბაიშვილმა და საუკეთესო მეკარის პრიზიც დაიმსახურა. თავის უფროს კოლეგას არ ჩამორჩებოდა ჩვენი მეორე მეკარე ა. ხუციშვილი. დაცვაში ჩვეული ოსტატობით მოქმედებდნენ ექსე-

„ლელო" ინტერვიუ

ულიძე და მისი ახალგაზრდა თანაგუნდელი ა. ლაზარიდისი. თავი გამოიჩინეს ი. ფხაკაძემ, ზ. ბუნაძემ, გ. ბერიაშვილმა და ვ. ნედბაილომ. თ. გაზდელიანი და თ. ზარდალიშვილი ტრავმის გამო მთელი ძალით ვერ თამაშობდნენ. რაც შეეხება მ. სხიერელს, მან ავადმყოფობის გამო საერთოდ ვერ მიიღო მონაწილეობა ზაპოროჟიეს ტურში. თუმცა, არც ის იყო უსაქმოდ, დროებით ჟურნალისტის „კვალიფიკაცია" მიიღო და „ლელოს" ატყობინებდა მატჩების შედეგებს.

● **ზაპოროჟიეში გამართული მატჩებიდან ყველაზე მეტად რომელი დაგამახსოვრდათ?**

— შეხვედრა კრასნოდარელ თანაკლუბელებთან. ეს გუნდი მეტად ძლიერი მოთამაშეებით არის დაკომპლექტებული. საკმარისია ითქვას, რომ მის ღირსებას იცავენ საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრები მაქსიმოვი და პანოვი. მაქსიმოვს მეურვედ მივუჩინეთ ბუნაძე, რომელმაც შესანიშნავად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. მაქსიმოვმა სათამაშო სიტუაციიდან ერთი გოლიც ვერ გაიტანა, ბუნაძემ კი ამ მატჩში 5 ბურთი მოათავსა მეტოქეთა კარში. საერთოდ, ყველა საუცხოოდ თამაშობდა. ცერცვაძემ 6 გოლი გაიტანა, ნედბაილომ — 5, ანთაძემ — 4, ფხაკაძემ — 3 და ექსეულიძემ — 2.

მაგრამ ჩვენ ვგრძნობთ, რომ ჯერ კიდევ შორსა ვართ ჩვეული ფორმისგან. მართალია, კაუნასის „ჟალგირისთან" ჩვენს გუნდს მუდამ უჭირდა თამაში, მაგრამ ახლა ეს კოლექტივი ძველი დიდების აჩრდილია და სწორედ კაუნასელებთან დავჯერდით ფრეს. რაც შეეხება „კუნცევოს", პირდაპირ უნდა ვთქვა, მოსკოველებმა გვაჯობეს. გვაჯობეს იმიტომ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიყავით მზად ასეთ ძლიერ გუნდთან თანაბარი ბრძოლისთვის. კაცმა რომ თქვას, გარკვეული კრიზისის შემდეგ ჩვენი გუნდი ხელახლა იბადება. მართალია, ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს ხარვეზი. მაგალითად, თავდასხმაში საჭიროა მეტი აგრესიულობა, საჭიროა შემტევი ძალა გაზარდონ უკანა ხაზის მოთამაშეებმა, კვლავინდებურად გადასაწყვეტია დაცვის პრობლემა და სხვა მრავალი.

● **რას გვეტყვით გუნდის უახლოეს გეგმებზე?**

— მთავარი და უახლოესი ამოცანაა საკავშირო ჩემპიონატის ფინალური შეჯიბრების I წრის თამაშებისთვის მზადება. ეს ასპარეზობა დაიწყება 23 მაისს. მისი ჩატარება ბარნაულშია განზრახული, მაგრამ ჩვენ ვთხოვეთ ხელბურთის საკავშირო ფედერაციას ნებართვა, რომ I წრის მატჩები თბილისში გამართონ. ვნახოთ, როგორ გადაწყდება ეს საკითხი. ივლისში მონაწილეობას მივიღებთ „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირველობაში, ხოლო აგვისტოში მოგვიწევს პროფკავშირთა საკავშირო სპარტაკიადაში თამაში. სექტემბერში საკავშირო ჩემპიონატის დასკვნით ტურში გამოვალთ.

* * *

— ამით დამთავრდა ჩვენი ინტერვიუ ჯ. ბაგრატიონთან. ახლა კი გადავხედოთ ზაპოროჟიეში გამართული მატჩების შემდეგ შექმნილ მდგომარეობას, რომელიც ქვემოთ მოტანილ ცხრილშია ასახული. 14 გუნდიდან მხოლოდ 8 კოლექტივს შეეძლო ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლების მოპოვება. ამიტომ ცხრილში პირველი 8 გუნდი შავი შრიფტით არის მონიშნული. ცხრილიდან ჩანს, რომ „კუნცევომ" 3 ქულით გაუსწრო უახლოეს ლიდერს — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდს. თბილისის „ბურევესტნიკი" „კუნცევოს" 7 ქულით ჩამორჩება. სწორედ ამ სხვაობის შემცირებაა თბილისელთა ამოცანა (ფინალურ ტურნირამდე გამართულ ასპარეზობაში მოპოვებული ყოველი ქულა შედის ფინალში). სხვანაირად საპრიზო სამეულში მოხვედრა ძალიან გაძნელდება. ფინალურ ტურნირში, რომელიც 8 გუნდს შორის ორ წრედ ჩატარდება, ჩვენებს 14 მატჩის გამართვა მოუწევს. მათ უთუოდ უშედავათო ბრძოლა უნდა გაუმართონ სწორედ ლიდერებს — „კუნცევოს", მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდს, „ალუმინსტროის" და კრასნოდარის „ბურევესტნიკს". ჩვენი აზრით, თბილისის „ბურევესტნიკთან" ერთად ეს სწორედ ის ხუთეულია, რომელთა შორის სამმა საპრიზო ადგილი უნდა დაიკავოს.

ჩემპიონატის დებულების მიხედვით, 14 გუნდს შორის IX-XIV ადგილებზე გასულ გუნდებს და მომავალ ფინალურ ტურნირში VII-VIII ადგილებზე გასულ კოლექტივებს ცალკე ტურნირი ექნებათ. ამ ტურნირში I-II ადგილებზე გასულნი შეინარჩუნებენ გაისად „ა" კლასის I ჯგუფში თამაშის უფლებას (გაისად ჩემპიონატის „ა" კლასის I ჯგუფში მხოლოდ 8 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ამჯერად ჩემპიონატი ხუთ წრედ გაიმართება). ცხადია, როგორც წლევანდელი, ისე მომავალი ჩემპიონატების ფორმულა მეტად რთულია. ამიტომ მართებთ თბილისელებს სიფრთხილე, ყოველი მატჩის დიდი პასუხისმგებლობით ჩატარება და რაც მთავარია, წინასატურნირო—ეგრეთ წოდებული საწვრთნელი პერიოდების გონივრულად გამოყენება.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა ფინალური ტურნირის წინ

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **„კუნცევო"** (მოსკოვი) | 13 | 12 | 0 | 1 | 325—243 | 24 |
| **მოსკოვის საავიაციო ინსტ.** | 13 | 10 | 1 | 2 | 352—267 | 21 |
| **„ბურევესტნიკი"** (კრასნოდარი) | 13 | 9 | 1 | 3 | 288—261 | 19 |
| **„ალუმინსტროი"** (ზაპოროჟიე) | 13 | 9 | 1 | 3 | 246—220 | 19 |
| **„ბურევესტნიკი"** (თბილისი) | 13 | 7 | 3 | 3 | 269—257 | 17 |
| **„პოლიტექნიკი"** (მინსკი) | 13 | 6 | 1 | 6 | 295—298 | 13 |
| **ცსკა** | 13 | 6 | 1 | 6 | 243—248 | 13 |
| **„ბურევესტნიკი"** (ზაპოროჟიე) | 13 | 5 | 1 | 7 | 240—252 | 11 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 13 | 5 | 1 | 7 | 262—280 | 11 |
| „დაუგავა" (რიგა) | 13 | 3 | 3 | 7 | 239—261 | 9 |
| ასკ (კიევი) | 13 | 3 | 2 | 8 | 246—279 | 8 |
| ასკ (ლვოვი) | 13 | 3 | 1 | 9 | 263—278 | 7 |
| „ბურევესტნიკი" (ტაშკენტი) | 13 | 3 | 0 | 10 | 251 307 | 6 |
| „მეტროსტროი" (მოსკოვი) | 13 | 1 | 2 | 10 | 285—353 | 4 |

# ორჯერ ნაკლები

პროფკავშირთა რესპუბლიკური სპარტაკიადისთვის მზადების პროგრამით რუსთავში გაიმართა „განთიადის" ცენტრალური საბჭოს კლასიკურ მოჭიდავეთა პირად-გუნდური პირველობა, რომელშიც ჩაება 63 სპორტსმენი — ორჯერ ნაკლები, ვიდრე თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ტურნირში. ეს თავისთავად ცოტა როდია, მაგრამ დასამალი არც ისაა, რომ გუნდების ინტერესებისთვის სარბიელზე თავისუფალი სტილის ჭიდაობის სპეციალისტებიც გამოვიდნენ. მაგალითად, აქ უმძიმეს წონაში გამარჯვებულმა თ. ნოზაძემ (რუსთავი) ქუთაისში თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა და პირველობაც მოიგო, ხოლო ტ. ჭაბუკიანმა (ქუთაისი), რომელიც შინ II ადგილზე გავიდა, რუსთავში ეს ადგილი თბილისელ პ. აბრამიშვილს დაუთმო. რუსთაველმა სპორტის ოსტატმა მ. მიხანაშვილმა (II საშუალო წონა), რომელიც ქუთაისში II ადგილს დასჯერდა, შინ სამ მეტოქესთან ბრძოლაში პირველობა მოიპოვა. რაც შეეხება მძიმე წონის წარმომადგენელს რ. მოსეშვილს (ქუთაისი), იგი ორივე სახეობაში ჩემპიონი გახდა.




გუნდურ ჩათვლაში უძლიერესის სახელისთვის იბრძოდნენ ქუთაისის, რუსთავის, თბილისის, გორის, აჭარის, აფხაზეთის, ჭიათურის კოლექტივები. ადგილებიც ამ თანმიმდევრობით განაწილდა.

სად იყვნენ სამხრეთ ოსეთის ათლეტები? მათ სპარტაკიადისთვის მზადების დაწყება მეტისმეტად დაუგვიანდათ და მოჭიდავეთა გუნდის გამოგზავნა ვერ შეძლეს.

ყველაზე საინტერესო იყო შეხვედრები ქვემსუბუქ წონაში. ცნობილი სპორტსმენი ზ. შეყრილაძე (ქუთაისი) II ადგილით დაკმაყოფილდა, ვინაიდან გადამწყვეტი დუელი ტ. კაპანაძესთან (რუსთავი) ქულებით წააგო.

ჩემპიონობისკენ მიმავალი ძნელი გზა გაიარა ქუთაისელმა რ. გელაშვილმა (I ქვესაშუალო წონა). ბათუმელ მ. ქორიძის ქულებით დამარცხების შემდეგ მან 7 წუთსა და 50 წამში წმინდად მოუგო მ. ცინორიძეს (სოხუმი), მაგრამ მოულოდნელ ფრეს დასჯერდა რ. გოგოლაძესთან (რუსთავი). ჩემპიონობისთვის ა. ჯიქურიძესთან (ჭიათურა) შეხვედრა გელაშვილს წმინდად უნდა მოეგო და მიზნის მიღწევისთვის 6 წუთი და 40 წამი დასჭირდა.

პირველობისთვის ბრძოლაში მეორე ქვესაშუალო წონის 11 ათლეტი ჩაება, რომელთაგან ღირსეული კანდიდატები მხოლოდ რ. მეტონიძე (ქუთაისი) და გ. კვანტალიანი (თბილისი) იყვნენ. მეტონიძემ ყველა ორთაბრძოლაში წმინდა გამარჯვებას მიაღწია, კვანტალიანი კი მარტო ქუთაისელთან დამარცხდა.

ო. ივდოშვილი.

* * *

ჩემპიონატის პრიზიორები:

**უმჩატესი წონა.** 1. თ. ნოზაძე, 2. პ. აბრამიშვილი, 3. ტ. ჭაბუკიანი.

**მჩატე.** 1. გ. კანდელაკი (ქუთაისი), 2. ა. მურადაშვილი (გორი), 3. ვ. თაბურიძე (რუსთავი).

**ქვემსუბუქი.** 1. ტ. კაპანაძე, 2. ზ. შეყრილაძე, 3. ა. აბაშიძე (ჭიათურა).

**მსუბუქი.** 1. ზ. ოშიყმაშვილი (თბილისი), 2. ა. შეყრილაძე (ქუთაისი), 3. ა. ჯორჯიკია (აფხაზეთი).

**პირველი ქვესაშუალო.** 1. რ. გელაშვილი, 2. რ. გოგოლაძე, 3. ა. ჯიქურიძე.

**მეორე ქვესაშუალო.** 1. რ. მეტონიძე, 2. გ. კვანტალიანი, 3. გ. ჩატიაშვილი (რუსთავი).

**პირველი საშუალო.** 1. ი. სვანიძე (ქუთაისი), 2. თ. ლომსაძე (რუსთავი), 3. ზ. ნეფარიძე (თბილისი).

**მეორე საშუალო** 1. მ. მიხანაშვილი, 2. ა. სევასტოვი (ქუთაისი), 3. ა. ბითარიშვილი (გორი).

**ქვემძიმე.** 1. ზ. ჩიხლაძე (ქუთაისი), 2. თ. იობაშვილი (თბილისი), 3. ვ. ჩხიკვაძე (აჭარა).

**მძიმე.** 1. რ. მოსეშვილი, 2. რ. ქაჯაია (თბილისი), 3. ნ. თავაძე (აფხაზეთი).

# დაჰგვიანებიათ...

ფიზკულტურის ინსტრუქტორი დავით ღავთაძე ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში 10 დღის მისული იყო, როცა ამ კოლექტივს ვეწვიეთ. მაგრამ ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივის ავ-კარგს იგი კარგად იცნობდა, რაც დაგვიდასტურა კიდეც: ადრე ქარხნის სტადიონის დირექტორად ვმუშაობდიო, გვითხრა.

ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც ინსტრუქტორმა გვიჩვენა, საქართველოს V პროფკავშირული სპარტაკიადისთვის მზადების შესახებ 20 მარტს ჩატარებული საქარხნო საბჭოს სხდომის ოქმი იყო. ამას დავუმატოთ შიდასაკოლექტივო სპარტაკიადის დებულებაც. ფაქტიურად, ამ დღიდან დაუწყიათ მზადება ამ მნიშვნელოვანი ღონისძიებისთვის. განყოფილებებსა და საამქროებში პირველობის ჩატარებაზე ხელი ჩაუქნევიათ. საქარხნო სპარტაკიად ის დებულებით შეჯიბრება მხოლოდ ფრენბურთში, კალათბურთში, მძლეოსნობაში, სროლაში, ჭადრაკსა და შაშშია გათვალისწინებული. ქარხნის 2 ათასამდე ფიზკულტურელიდან, დიდი-დიდი 200 კაცს თუ მოუწევს სარბიელზე გამოსვლა. სპარტაკიადისთვის მზადების დღევანდელი ტემპი იმასაც მოწმობს, რომ ხეირიანად ვერც საქარხნო სპარტაკიადა ჩატარდება. ჯერ ერთი, საამქროებიდან და განყოფილებებიდან ადგილზე მზადების პირობები მხოლოდ სამს თუ აქვს. № 3, № 4 და სატრანსპორტო საამქროების ბაზები დღემდე არაა მოწესრიგებული, ხოლო ზოგიერთ საამქროს მოედნები საერთოდ არ გააჩნია.

გვითხრეს: ის სპორტსმენები, რომლებსაც ადგილზე ვარჯიშის პირობები არა აქვთ, სტადიონზე მეცადინეობენო. მაგრამ ჩვენ ორი დღე ვიყავით იქ და ქარხნის კომპლექსურ მოედნებზე ქუჩიდან გასართობად შემოსული ბავშვების მეტი არავინ გვინახავს. არც დახურულ დარბაზში მეცადინეობის ცხრილშია მუშებისთვის გამოყოფილი დრო.

სტადიონის მძლეოსნური ბილიკები და სექტორები უვარგისია. ქარხნის მძლეოსნები დიდად ვერც შედეგებით დაიკვეხნიან. ბირთვის კვრაში ქარხნისა და რაიონის რეკორდი, რომელიც ეკონომისტ თ. კიკნაველიძეს ეკუთვნის, 13 მეტრი და 60 სანტიმეტრია. მესამე თანრიგის შედეგებით ქარხნისა და რაიონის რეკორდები დაუმყარებიათ მუშა ლ. წითელიშვილს, ამწეს მემანქანე ზ. ვასილენკოს და სხვებს.

მეტალურგთა რესპუბლიკური დარგობრივი სპარტაკიადები სპორტის 12 სახეობაში ტარდება. თუ ფორმა № 1-ს დავუჯერებთ, ფეროშენადნობთა ქარხნის ფიზკულტურულ კოლექტივში თორმეტივე სახეობაა დანერგილი. ცურვაში ეპიზოდურად, ორ-სამ თვეს თუ მეცადინეობენ, ხელბურთში ვარჯიში კი ჯერაც არ დაუწყიათ.

წლევანდელი სპორტული შეჯიბრებებისთვის ქარხნის ნაკრები გუნდები დღემდე არაა დაკომპლექტებული, არ შეურჩევიათ მწვრთნელები, აკლიათ ფორმა და ინვენტარი.

როგორც ხედავთ, ნაკლოვანებები საკმაოდაა, მაგრამ მათი გამოსწორება სრულიადაც არ გვესახება გადაუჭრელ ამოცანად.

თ. გაჩეჩილაძე.

(ჩვენი სპეც. კორ.).

ზესტაფონი.



სტუდენტთა რესპუბლიკური თამაშების პროგრამით გათვალისწინებული მაგიდის ჩოგბურთელთა შეჯიბრების ამასწინანდელ ანგარიშში ვწერდით, რომ ქალთა წყვილების ტურნირში შესანიშნავად იასპარეზა ლ. კამენსკაია (სპი) — ა. სუჯაშვილის (უნივერსიტეტი) დუეტმა, ხოლო ერთეულ ვაჟთა თანრიგში ჩემპიონი გახდა სპორტის ოსტატი თ. რამაზაშვილი (სპი).

სურათებზე: მარცხნივ — რამაზაშვილი; მარჯვნივ — ასპარეზობენ კამენსკაია (მარცხნივ) და სუჯაშვილი.

ფოტო გ. ახალაძისა.



# ღრმა დაზვერვა

## ნარკვევი

1944 წლის დეკემბერი იდგა. ჰიტლერელთა ნაწილები ბუდაპეშტს არ თმობდნენ. 27 დეკემბერს საზღვაო ქვეითი ჯარების 83-ე ბრიგადამ და მსროლელთა 316-ე დივიზიამ იერიშით აიღეს ქალაქის სამხრეთი ნაწილი კელენფელდი. მოიერიშეთ დუნაის ფლოტილია უმაგრებდა ზურგს საარტილერიო ცეცხლით.

ჩვენი ჯარები წარმატებით იბრძოდნენ დუნაის მარცხენა ნაპირზეც.

20 იანვარს პეშტი მთლიანად თავისუფალი იყო. ფაშისტებს ეშინოდათ აბჭოთა ტანკების ბუდაში შეჭრისა. ამიტომ მათ წინასწარ დანაღმეს და ააფეთქეს ქალაქის ექვსივე ხიდი. ოთხივე მხრიდან ალყაში მოქცეული მტერი შეუპოვრად გვებრძოდა გელერტის მთის რაიონში, სადაც მეფის უზარმაზარი სასახლის ირგვლივ დაცვის რამდენიმე ხაზი მოეწყოთ.

ჩვენი ხელმძღვანელობა მძლავრ შეტევას ამზადებდა ბუდაში ჩამჯდარი მტრის საბოლოოდ გასანადგურებლად. მაგრამ ამისთვის საჭირო იყო ზუსტი ცნობების მოპოვება მოწინააღმდეგის ჯარების რაოდენობისა და განლაგების შესახებ. ამ საპასუხისმგებლო დავალების შესრულება დაევალა ჩვენს რაზმს უფროსი ლეიტენანტ ვიქტორ კალგანოვის მეთაურობით. საქმე ხალისით დავიწყეთ, მაგრამ პირველი ცდები უშედეგო გამოდგა.

ფაშისტები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ ბუდა მიუვალ ციხე-სიმაგრედ ექციათ, მაგრამ, მიუხედავად მტრის ასეთი სიფხიზლისა, ჩვენი მზვერავები ღამით მოწინააღმდეგის დაცვის ორ-სამ ხაზზე გადადიოდნენ. გასვლა მეფის სასახლისკენ, სადაც გენერალ-პოლკოვნიკ ვილდენბრუხის შტაბი იყო თავშეფარებული, და მოენის ხელში ჩაგდება კი ვერ მოვახერხეთ. და აი, ერთხელ, დაზვერვაზე ყოფნის დროს, კალგანოვს კანალიზაციის მილის საძრომში ჩაუვარდა ფეხი. მეთაურმა მოისაზრა, რომ მტრის ღრმა ზურგში მიწისქვეშა გზით შეიძლებოდა შეღწევა. ამ მილებს უნდა გავყოლოდით, მაგრამ სად ვიშოვიდით სქემას?

დავიწყეთ ძებნა. ამ საქმეში დიდად დაგვეხმარა ბუდაპეშტის მუნიციპალიტეტის ერთი ყოფილი მუშაკი, საკანალიზაციო ქსელის ექსპლოატაციის ინჟინერი. სწორედ მან დაგვიხაზა ნანატრი სქემა, რომლის მიხედვითაც შედგა მტრის ზურგში ღრმა მიწისქვეშა ოპერაციის გეგმა.

წინასწარ საწვრთნელი დაზვერვა მოვაწყვეთ. 200 მეტრზე გავყევით კანალიზაციის მილებს.

კალგანოვმა ამ ოპერაციისთვის ყველაზე საიმედო და ამტანი მზვერავები შეარჩია. ყველა მათგანი ჩინებული სპორტსმენი იყო.

... თბილოდა, საძრომს მივადექით და სარქველი ავხადეთ. კალგანოვი პირველი ჩაეშვა ქვის ჭაში. მას მივყევით არკადი მალახოვი, ლიუბიშა ჟორჟევიჩი, ვასილ ნიკულინი, ბენედიქტ ანდრეევი, ალექსეი გურა, ვასილ გლობა, გრიგოლ კოცარი, მე და კიდევ ოთხი მეზღვაური.

ნახევრად მოხრილი მივდიოდით და გვიჭირდა ამ წყვდიადსა და ქვესკნელის მდუმარებაში. მილის დიამეტრი დაახლოებით ერთი მეტრი იყო, მაგრამ ზოგან უფრო ვიწროვდებოდა და მაშინ იძულებული ვიყავით თითქმის ოთხზე გვევლო. აირწინაღის ჩანთა და ავტომატი ზურგზე გვეკიდა, რომ არ დაგვსველებოდა.

საწვრთნელი ვარჯიშის დროს გავლილი 200 მეტრი რომ დავძლიეთ, უკვე მტრის ზურგში ვიყავით. კალგანოვი დროდადრო ხელის ნათურას აანთებდა, მაგრამ სიფრთხილის გამო წინ კი არ გაანათებდა გზას, მწვანე სინათლეს მილის კედლებს მიაშუქებდა ხოლმე. ბოლოს მეკავშირე მოდიოდა და ტელეფონის აპარატი მოჰქონდა, მხარზე მავთულის ხვეული ეკიდა. ეს იყო ჩვენი კავშირი სამეთაურო პუნქტთან. გენერალი თვალს ადევნებდა ჩვენს გზას, მეთაურის ინფორმაციებს ელოდა ოპერაციის პირველ შედეგებზე.

გავიდა ორი საათი. მეკავშირე გამუდმებით გადასცემდა გენერალს ცნობებს, მაგრამ უეცრად კავშირი გაწყდა, ესე იგი, სადღაც გაწყდა მავთული. სამეთაურო პუნქტთან კავშირის დაკარგვით ჩვენ თითქოს მთელ დედამიწას მოვწყდით. მეკავშირე უკან გაბრუნდა.

ამით როდი დამთავრდა.. მეზღვაურს, რომელსაც მოენეებისთვის სათადარიგო



აირწინაღები მოჰქონდა, სუნთქვა შეეკრა, ძლივსღა მოგვყვებოდა, ბოლოს კი სულ მოეკვეთა მუხლი. მისი ხელით ტარებას აზრი არ ჰქონდა, — მტრის ზურგში გვჭირდებოდა ძალა. ამიტომ მეზღვაურიც მეკავშირეს გავაყოლეთ, მაგრამ ამ არეულობაში სათადარიგო აირწინაღების დატოვება ვერავინ მოისაზრა. თერთმეტნი დავრჩით.

მეთაური გამოცდილი სპორტული მწვრთნელივით ზოგავდა ჯგუფის ძალას, — ჩვენ ხომ მტერთან შეტაკება გველოდა. საძრომი რომ შეგვხვდებოდა, იგი პატარა შესვენებას აწყობდა.

სამი საათის შემდეგ მივაღწიეთ იმ ადგილს, სადაც ჯგუფი ორად უნდა გაყოფილიყო გეგმის თანახმად. აქედან უნდა ავსულიყავით ქუჩაში და მეფის სასახლეს ორი მხრიდან მოვქცეოდით.

— ანდრეევის ჯგუფი, მარცხნივ! — ხმადაბლა გასცა განკარგულება კალგანოვმა. თავად იგი მეორე ჯგუფს გაუძღვა და მარჯვნივ წაიყვანა.

ჩვენი ჯგუფი, რომელსაც ანდრეევი მეთაურობდა, ექვსი კაცისგან შედგებოდა. ვიცოდით, რომ საძრომამდე სულ ცოტაღა დარჩა.

უეცრად ანდრეევი შეჩერდა და მთელი ტანით გასწორდა. „ჭა“ — გაგვიელვა სასიხარულო სიტყვამ. ნაბიჯი გადავდგი და წელში გავიმართე. სასიამოვნო იყო ასე წელგამართული დგომა. მტკიოდა ზურგი, მუხლები, კეფა. აირწინაღები მოვიხსენით და ჩანთებში ჩავდეთ. ორის ათი წუთი იყო. ესე იგი, 3 საათსა და 40 წუთს გვივლია მილებში. მეთაურის შედგენილი მიწისქვეშა გრაფიკი ზუსტი აღმოჩნდა.

ეს საძრომი მტრის ღრმა ზურგში იყო, მეფის სასახლიდან ოდნავ ჩრდილოეთით, კაპისტრანის მოედნის ტერიტორიაზე, მაგდალინას ტაძრის ახლოს. ჭის კედლებში დატანებულ ლითონის კავებს ავყევი და სარქველს ყური მივადე. ჩამიჩუმი არ ისმოდა. მინდოდა სარქველი ამეხადა, მაგრამ მიყინული იყო. მაგრად მივაწექი ხელით, — მაინც არაფერი გამოვიდა. დაჟანგულ კავებზე თავის შემაგრება მიჭირდა, ფეხი მიცურავდა. ზორბა მეზღვაურმა თავისი ფართო ზურგი მომიშვირა. ცალი ფეხით შევადექი მხარზე და ისევ დავეჯაჯგურე სარქველს, შემდეგ ყელსახვევი მოვიხსენი, ავტომატის კონდახს შემოვახვიე და დავარტყი. დამემორჩილა. შვებით ამოვისუნთქეთ.

მიწის ქვეშ გამეფებული წყვდიადის შემდეგ ქუჩის სიბნელე თეთრ ღამედ მოგვეჩვენა. მივიხედ-მოვიხედე. პატარა შესახვევი მოედანს ეკვროდა. ბიჭებს ხელით ვანიშნე, ამოსვლა შეიძლება-მეთქი. ანდრეევი და გლობა უხმაუროდ ამოძვრნენ. ჭაში დარჩნენ კოცარი, გურა და მეზღვაური.

ნელი ნაბიჯით გავემართეთ მოედნისკენ. დაიწყო დაზვერვა. ახლა ჯგუფის წინაშე მეორე ამოცანა იდგა: მოენის ხელში ჩაგდება.

ჩასასაფრებლად ცარიელი სახლის ჩაბნელებული სადარბაზო შესასვლელი ავირჩიეთ. რამდენიმე ხნის შემდეგ ქუჩის ბოლოს კაცი გამოჩნდა. იგი ჩვენსკენ მოდიოდა. თოვლში ძლივს გავარჩიეთ სამხრეები ჯარისკაცის ნაცრისფერ ფარაჯაზე. ასეთი მოენე არ გამოგვადგებოდა. ჯარისკაცმა მშვიდად ჩაგვიარა და ერთ-ერთ სადარბაზო შესასვლელში შევიდა. ჩვენ ადრევე შევნიშნეთ, რომ გერმანელები ამ სახლში შედიოდნენ, ესე იგი, აქ უნდა ყოფილიყო განლაგებული სამხედრო ნაწილი ან შტაბი. გავიდა კიდევ რამდენიმე წუთი. უეცრად მეორე გერმანელი გამოჩნდა. ოფიცრის ქუდი ეხურა. მოვემზადეთ, მაგრამ ამ დროს შენობიდან კიდევ ერთი გერმანელი გამოვიდა. მას შეეძლო დაენახა ჩვენი შეტაკება. რისკის გაწევა არ შეიძლებოდა. ოფიცერმა ისე ჩაგვიარა, აზრადაც არ მოსვლია, რომ საბჭოთა მზვერავები უცქერდნენ.

დრო გადიოდა. ანდრეევმა მოუთმენლად დახედა საათს. მაგრამ აი, შტაბის შენობიდან ორნი გამოვიდნენ, ოფიცრები იყვნენ.

ლაპარაკით მოგვიახლოვდნენ. ერთი საშუალო ტანისა იყო, სქელ-სქელი, შავი ტყავის პალტო ეცვა. მეორე, ოფიცრის მაზარაში გამოწყობილი, უფრო მაღალი ჩანდა.

გვერდით ჩაგვიარეს. ჩვენ სადარბაზოდან გამოვცვივდით და ზურგიდან დავესხით თავს.

სქელ გერმანელს ავტომატის კონდახი ჩავარტყი და მყისვე სამბოს ილეთით ძირს დავანარცხე. ანდრეევმა მას პირში ცხვირსახოცი ჩასჩარა და სწრაფად შეუკრა ხელები.

გულხელდაკრეფილი არც გლობა იდგა. მან თავში ძლიერი დარტყმით ჩააჩოქა მეორე გერმანელი, რომელიც გამწარებული იბრძოდა, მაგრამ მალე ჩავაჩუმეთ. გვამის ქუჩაში დატოვება არ შეიძლებოდა. ტანადმა მზვერავმა მოკლული ჰიტლერელი მხარზე გაიდო და საძრომისკენ გაემართა. გლობას უკან ანდრეევი მიდიოდა და ზურგით მიათრევდა მოენეს. მე ავტომატით ხელში მივყვებოდი ჯგუფს.

საძრომამდე შეუმჩნევლად მივაღწიეთ. ანდრეევმა სარქველი ახადა და ფრთხილად ჩაუშვა ჭაში ზორბა გერმანელი. გლობამ გვამიც ჩაუშვა და შემდეგ თავადაც ჩაძვრა. მას ანდრეევი მიჰყვა. ვიდრე სარქველს დავხურავდით, მოედანს გავცქეროდი. ახალი ფანტელები სწრაფად ფარავდა ჩვენს ნაფეხურებს. სიმშვიდე იყო. ხარბად ჩავისუნთქე ღამის სუფთა ჰაერი, ჭაში ჩავეშვი და სარქველი დავხურე.

საძრომში ბნელოდა. ანდრეევმა ნათურა აანთო და ტყვეს მიაშუქა. გერმანელს თვალებში საშინელი შიში ჩასდგომოდა. თავზარდაცემული, გონს ვერ მოსულიყო. ანდრეევმა პირიდან ცხვირსახოცი ამოაცალა და მითხრა:

— ალიოშა, დაამშვიდე ერთი.

მე ტყვეს გერმანულად დავუწყე ლაპარაკი. ვუთხარი, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, ოღონდ ცოტა ხანს ჩვენთან ერთად უნდა იაროს მილებში. ტყვეს გული მიეცა, მაგრამ თავი მაინც ვერ შეიკავა და იკითხა:

— ესე იგი, არ მომკლავენ?

— არა. ჩვენ დაინტერესებული ვართ თქვენი სიცოცხლით, — ვუპასუხე და ამ პასუხით საბოლოოდ გავუქარწყლე შიში.

გერმანელი გაჩუმდა, ვითარება აწონდაწონა, ბედს შეურიგდა და უსიტყვოდ დაგვემორჩილდა.

— რა ჩინი და თანამდებობა გაქვთ? — ვკითხე მე. მან დიდის ამბით მიპასუხა, რომ მაიორია.

გამოირკვა, რომ მოკლული ესესელთა ოფიცერი ყოფილა.

დავალება შევასრულეთ. ჯგუფის მეთაური მილში შეძვრა. მას დანარჩენები მივყევით. აირწინაღი მოვიხსენი და ტყვეს გადავეცი. იგი ჩემსა და გლობას შუა მოდიოდა. გვამს სახელოში ჩავავლე ხელი და მილში ისე გავათრიე, მაგრამ 30 მეტრი რომ გავიარეთ, მივატოვე. უაირწინაღოდ სიარული მიჭირდა. ჯგუფს ჩამოვრჩი. ამხანაგები თანდათან დამშორდნენ. გლობა, რა თქმა უნდა, ვერ დაინახავდა, რა ხდებოდა უკან. ვიხრჩობოდი, თვალთაგან უნებური ცრემლი მდიოდა. მინდოდა ნათურით სიგნალი მიმეცა, მაგრამ ვერ ავანთე. ყვირილი არ შეიძლებოდა, მტერი გაიგონებდა. ყელი მეწვოდა. თავბრუ დამესხა. მაინც არ მტოვებდა იმედი, ამხანაგები შენიშნავენ, რომ ჩამოვრჩი-მეთქი.

უეცრად წინ სინათლე აინთო და ისევ ჩაქრა. მოულოდნელობისგან შევჩერდი. „მომეჩვენა? ჰალუცინაციაა“, — გავიფიქრე და ისევ დავადექი გზას. მაგრამ სინათლე ორი წუთის შემდეგ კვლავ აკიაფდა. მწვანე შუქმა სიბნელე გაკვეთა და გზა გამინათა. ამხანაგები მიცდიდნენ.

გლობამ აირწინაღი მოიხსნა და გამომიწოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ კალგანოვის ჯგუფს შევუერთდით. ანდრეევმა მეთაურს ოპერაციის შედეგი მოახსენა. მოენე კალგანოვის ჯგუფსაც შეეპყრო. ეს იყო ობერლეიტენანტი, რომელიც მარტიაშის სასახლის შიდა კარიბჭესთან დაეჭირათ.

კალგანოვის ბრძანებით მთელი ჯგუფი გზას დაადგა.

მეთაურის წინაშე რთული ამოცანა იდგა — მას მზვერავებიცა და ტყვეებიც გათენებამდე უნდა გაეყვანა სამშვიდობოს. დაქანცულნი, ფეხზე ძლივს ვიდექით. კალგანოვი ჩქარობდა, მაგრამ დროდადრო მაინც აწყობდა მცირე შესვენებას. თავად მას ყველაზე მეტად უჭირდა. მეთაური ხელში იყო დაჭრილი, სულ რამდენიმე დღის ჭრილობა ჯერ კიდევ არ შეხორცებოდა, მაგრამ ეს მამაცი ადამიანი და ჩინებული სპორტსმენი ჩვენ გვაძლევდა მხნეობის მაგალითს. ტყვე ობერლეიტენანტი ჟორჟევიჩსა და მალახოვს შუა მიაბიჯებდა. მისთვის ჟორჟევიჩს მიეცა აირწინაღი.

გვიმძიმდა. ყურებში რაღაც გუგუნებდა, ბევრს ცხვირიდან სისხლი წასკდა. რამდენიმემ თავი ვერ შეიმაგრა და პირდაპირ წყალში ჩაემხო. ასე გვეგონა, ეს მიწისქვეშა ლაბირინთები არასოდეს დამთავრდებოდა. მილები რკინის მარწუხებივით გვიჭერდა ტანზე. მაგრამ ჩვენ მაინც მივიწევდით წინ. ამ უმძიმესი გამოცდის დროს სამშობლოს სიყვარული გვმატებდა ძალას. მხნეობას გვმატებდა უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა, რადგან ვიცოდით, რომ ამ ოპერაციის შედეგზე იყო დამოკიდებული ბევრი საბჭოთა მეომრისა და უნგრეთის დედაქალაქის მშვიდობიანი მოსახლეობის ბედი.

ტყვე მაიორს სულ გამოეცალა ძალა. იძულებული შევიქენით ხელით გვეთრია. მოულოდნელად კალგანოვმა გვახარა, ასასვლელამდე ასი მეტრიღა დარჩაო. ამან გაგვამხნევა. აქედან იწყებოდა ფინიშის ბილიკი. მაგრამ რომ იცოდეთ, რა ფინიში იყო ეს! ყოველი მეტრი გვაშორებდა წყვდიადსა და სიკვდილს, ყოველი მეტრი მიზანს გვაახლოებდა.

და აი, ასასვლელიც! ამხანაგები გველოდნენ. მათი დახმარებით ავძვერით ზევით. აირწინაღები მოვიგლიჯეთ და ხარბად ჩავისუნთქეთ ყინვიანი ჰაერი. თავბრუ გვესხმოდა, მუხლი მოგვეკვეთა.

გერმანელი ობერლეიტენანტი თოვლში ჩამჯდარიყო, მძიმედ სუნთქავდა და გაოცებული იხედებოდა აქეთ-იქით. ტყვე მაიორი უსიცოცხლოდ გაშოტილიყო და არც ინძრეოდა. თოვლით დავუზილეთ სახე და კეფა, გრძნობაზე მოვიყვანეთ. ტყვე წამოჯდა. მშვიდად შემოგვხედა ჯერ ჩვენ. მერე იქვე მდგარ დამსხვრეულ ტანკს. შემდეგ მისი მზერა საკანალიზაციო მილის ახდილ სარქველს მოხვდა. მაიორი შეკრთა და აკანკალებული ხელით პირჯვარი გადაისახა.

დილის ხუთი საათი იყო. ჯერ ისევ ბნელოდა. სწრაფად გავხოხდით ჩვენი მოწინავე პოზიციისკენ და ტყვე მოენეები სამეთაურო პუნქტს ჩავაბარეთ.

ამ დაზვერვამ და ჰიტლერელი ოფიცრების მოწოდებულმა ცნობებმა დიდი როლი შეასრულა გერმანელ-ფაშისტური ჯარების დაჯგუფების საბოლოო განადგურებაში.

1945 წლის 13 თებერვალს, დილით, უნგრეთის დედაქალაქი თავისუფალი იყო.

**ა. ჩხეიძე,**
დუნაის წითელდროშოვანი ფლოტილიის ყოფილი მზვერავი.

---

## სიცოცხლის ფასად გაკაფული გზა

— ჩემი დარდი ნუ გექნებათ, მტერს საკადრის პასუხს გავცემ და კვლავ კარგად ვიქნები. — ამ სიტყვებით მთავრდება 1942 წლის 11 ნოემბერს ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის სანგარში დაწერილი მეომრის სამკუთხა ბარათი. როცა ეს ბარათი გურჯაანის რაიონის სოფელ წითელ უბანში მიიღეს, მისი ავტორი ა. არუთინოვი ბრძოლის ველზე იწვა გერმანელთა ტყვიით განგმირული. მტერს კი საკადრისი პასუხი მისი გაკვალული გზით მიმავალმა ქართული დივიზიის ასეულებმა გასცეს.

1942 წლის ნოემბერში ფაშისტები კავკასიას მოადგნენ. მთლიანად დანაღმული იყო ბრძოლის ველი. ცეცხლის გახსნა ჯერ დივიზიის პირველ ასეულს დაევალა, მაგრამ ბრძოლას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. აუცილებელი იყო მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტების აღმოჩენა და განადგურება. ფრონტის მარცხენა მხარეს ეს ამოცანა ა. არუთინოვის ასეულს დაევალა. მალე დადუმდნენ საცეცხლე წერტები და არუთინოვი ყველასთვის მოულოდნელად ნაღმმტყორცნელთა ასეულით თვით გადავიდა შეტევაზე, გზა გაუხსნა ჩვენს მეომრებს.

— ეს იყო ასეულისა და მისი მეთაურის უმაგალითო გმირობა. ყველა, როგორც ერთი, დაეცა ბრძოლის ველზე და სამოქმედო გზა გაგვიხსნა, — იგონებს დღეს დივიზიის პირველი ასეულის ყოფილი მეთაური, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის უფროსი მასწავლებელი შ. ელიაშვილი. მან მიჩვენა ზემოხსენებული ბარათი, რომელიც სხვა წერილებთან ერთად ა. არუთინოვის ოჯახიდან ჩამოუტანიათ მისი თანამებრძოლისთვის.

ა. არუთინოვი ფიზკულტურის ინსტიტუტის III კურსის სტუდენტი იყო, როცა სხვებთან ერთად ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. სწავლის ფრიადოსანი და სამაგალითო სპორტსმენი (იგი საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის მ. თიკანაძის აღსაზრდელი იყო) საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარჩინებულიც გახდა.

სკოლამ, სადაც ა. არუთინოვი სწავლობდა და მისმა ფიზკულტურულმა კოლექტივმა არ უნდა დაკარგონ გმირის სახელი. კარგი იქნება, თუ ტრადიციად ვაქცევთ შინმოუსვლელ სპორტსმენთა ხსოვნისადმი მიძღვნილ შეჯიბრებებს, გავათამაშებთ მათი სახელობის პრიზებს.

**გ. თენგოშვილი.**

---

### კაეში სტრიქონები

#### მოსწავლეებისა და საშეფო ორგანიზაციების დახმარებით

ზესტაფონის რკინიგზის მე-7 საშუალო სკოლაში მოსწავლეთა ძალებითა და საშეფო ორგანიზაციების დახმარებით შეკეთდა ფრენბურთის, კალათბურთისა და ხელბურთის მოედნები, ფეხბურთის მინდორი, მძლეოსნობის სექტორები.

**ა. განუგრავა.**
(ჩვენი კორ.).

ზესტაფონი.

---

### ასპარეზობდნენ მაგიდის ჩოგბურთელები

დამთავრდა აფხაზეთის მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში. პირველობა დაისაკუთრა სოხუმის ნაკრებმა. II ადგილზეა გუდაუთის, ხოლო III — ტყვარჩელის გუნდი. პირად ჩათვლაში იმარჯვეს: გოგონებში — ს. დგებუაძემ (ტყვარჩელი), ჭაბუკებში — ვ. ავიძბამ და ბ. შევჩენკომ (ორივე — გუდაუთა).

**შ. ჯალალონია.**

სოხუმი.

# ფეხბურთი

## საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

**„სალხინო“ (გეგეჭკორი) — „სამცხე“ (აწყური) 2:1. მსაჯი მ. მიმინოშვილი (თბილისი).**

**„მესხეთი“ (ახალციხე) — „ლაითური“ (მახარაძის რაიონი) 2:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).**

მასპინძლები მთელი ტაიმის განმავლობაში არ მოსცილდნენ მეტოქის კარს, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწიეს — 0:0. ასე გრძელდებოდა თამაში შესვენების შემდეგაც, მაგრამ აი, მახარაძელები გაეშვიდნენ კონტრშეტევაზე და გახსნეს ანგარიში — 1:0. „მესხეთმა“ მხოლოდ 56-ე წუთზე გაქვითა ეს გოლი, ხოლო მატჩის დასასრულს გადამწყვეტი ბურთიც გაიტანა.

**„კოლმეურნე“ (წალენჯიხა) — „ზახმარო“ (ჩოხატაური) 6:1. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).**

წალენჯიხელ ფეხბურთელთა სრული უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა მთელი მატჩის მსვლელობაში. გამარჯვება მათ ფაქტიურად პირველ ტაიმშივე გაინაღდეს, როცა ოთხჯერ აიღეს მოწინააღმდეგის კარი. „კოლმეურნემ“ საბოლოოდ დიდი ანგარიშით გაიმარჯვა.

**„ქართლი“ (გორის რაიონი) — „აერო“ (გალი) 1:0. მსაჯი ვ. შახნაზაროვი (თბილისი).**

პირველი 45 წუთის განმავლობაში გალელთა საჯარიმო მოედანზე მრავალი სახიფათო მომენტი შეიქმნა და მეკარე რუსიამ ძალზე ძნელი ბურთები აიღო. გორელებმა გოლი გაიტანეს მხოლოდ 65-ე წუთზე, როცა რევაზიშვილმა თითქმის მთელი მინდორი გაიარა შეუფერხებლად და ზუსტად დაარტყა მიზანში — 1:0. იმავე რევაზიშვილს შეეძლო კიდევ უფრო გაეზარდა ანგარიში, მაგრამ რუსიამ შეძლო მის მიერ დარტყმული პენალტის მოგერიება.

**„შრომითი რეზერვები“ (გარდაბანი) — „ცისკარი“ (სიღნაღი) 0:0. მსაჯი ნ. კონდახსაზოვი (თბილისი).**

**ასკ (თბილისი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 3:3. მსაჯი ი. ბოჟორაძე (თბილისი).**

**ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ფეიქარი“ (წულუკიძე) 1:1. მსაჯი მ. ნადიროვი (რუსთავი).**

თამაში თავიდანვე სწრაფ ტემპში დაიწყო და საინტერესო ბრძოლაში ჩატარდა. ანგარიში გახსნეს სტუდენტებმა: გოლი ლამაზი დარტყმით გაიტანა ვაშაძემ. „ფეიქარმა“ მეორე ტაიმში გააძლიერა შეტევები და ესებუამ შეძლო ანგარიშის გაქვითვა.

**„კოლხეთი“ (ცხაკაია) — „მშენებელი“ (ბორჯომი) 2:0. მსაჯი ა. აბულაშვილი (თბილისი).**

პირველ ტაიმს შედეგი არ მოუცია — 0:0. შემდეგ სტუმრების მეკარის უხეშმა შეცდომამ საშუალება მისცა ძაგანიას გაეხსნა ანგარიში. მალე ბორჯომელთა კართან კვლავ იქნა დაშვებული შეცდომა და დავითაიამ მეორე ბურთი გაიტანა.

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 1:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).**

**„სინათლე“ (თბილისი) — „სულორი“ (ვანი) 1:1. მსაჯი რ. ჩალაბიანი (თბილისი).**

### I ჯგუფის II ქვეჯგუფი

**I ზონა.** „გარეჯი“ (საგარეჯო) — „შევარდენი“ (თბილისი) 3:2, „არაგვი“ (მცხეთა) — „ისანი“ (თბილისი) 0:0, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „განთიადი“ (ქარელი) 2:1, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „გორისი“ (თეთრი წყარო) 6:1, „მევენახე“ (ვაზისუბანი) — „ელმავალმშენი“ (თბილისი) 3:1, „არაგვი“ (დუშეთი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 0:3, „ვარძია“ (ასპინძა) — „მირაჟი“ (წითელწყარო) 3:1.

**II ზონა.** „მერცხალი“ (ზესტაფონი) — „დინამო“ (ოჩამჩირე) 0:4, „საირმე“ (მაიაკოვსკი) — „კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) 1:1, „ივერია“ (ხაშური) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 1:1, „განთიადი“ (აბაშა) — „განახლება“ (ადიგენი) 0:0, „კოლხეთი“ (ხობი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 0:0.

### მოზარდთა შეჯიბრება

**აღმოსავლეთი ზონა.** „ლოკომოტივი“ (თბილისი) — ინტერნატი № 1 (თბილისი) 1:1, „შრომითი რეზერვები“ (თბილისი) — განათლების განყოფილება (თბილისი) 2:2, „დილა“ (გორი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 2:0, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „დინამო“ (თბილისი) 1:1, „ცისკარი“ (თბილისი) — „კახეთი“ (თელავი) 5:0, მწვრთნელთა სკოლა (თბილისი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 1:1, „კახეთი“ (თელავი) — მწვრთნელთა სკოლა (თბილისი) 1:1, „დინამო“ (თბილისი) — „ცისკარი“ (თბილისი) 1:0, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 1:2, განათლების განყოფილება (თბილისი) — „დილა“ (გორი) 7:2, ინტერნატი № 1 (თბილისი) — „შრომითი რეზერვები“ (თბილისი) 4:0, „დილა“ (გორი) — ინტერნატი № 1 (თბილისი) 0:0, „შრომითი რეზერვები“ (თბილისი) — ახალგ. საფეხბ. სკოლა (თბილისი) 0:3, „მეტალურგი“ (რუსთავი) — განათლების განყოფილება (თბილისი) 1:0, „ცისკარი“ (თბილისი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 6:0, მწვრთნელთა სკოლა (თბილისი) — „დინამო“ (თბილისი) 1:2, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „კახეთი“ (თელავი) 0:0, ახალგ. საფეხბ. სკოლა (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 0:0.

**დასავლეთი ზონა.** „დინამო“ (სოხუმი) — „დინამო“ (ბათუმი) 0:1, „გურია“ (ლანჩხუთი) — „ენგური“ (ზუგდიდი) 0:2, „მერცხალი“ (მახარაძე) — „შუქურა“ (ქობულეთი) 0:1, „მალაროელი“ (ჭიათურა) — „მეშახტე“ (ტყიბული) 1:1, „შუქურა“ (ქობულეთი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 1:1, „ენგური“ (ზუგდიდი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 1:1, „დინამო“ (ბათუმი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 2:0.

თბილისის „განთიადს“ გამარჯვება ჩაეთვალა ტყიბულის „მეშახტესთან“, გაგრის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდს — თბილისის „განთიადთან“ და ქუთაისის „ტორპედოს“ — სოხუმის „დინამოსთან“.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ცისკარი“ (სიღნაღი) | 8 | 5 | 3 | 0 | 11—5 | 13 |
| „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) | 9 | 4 | 4 | 1 | 11—4 | 12 |
| „კოლხეთი“ (ცხაკაია) | 7 | 5 | 1 | 1 | 13—5 | 11 |
| „შრ. რეზერვები“ (გარდაბანი) | 8 | 3 | 4 | 1 | 6—6 | 10 |
| „სინათლე“ (თბილისი) | 8 | 1 | 7 | 0 | 11—8 | 9 |
| „სალხინო“ (გეგეჭკორი) | 8 | 3 | 3 | 2 | 13—11 | 9 |
| „სულორი“ (ვანი) | 7 | 3 | 3 | 1 | 8—6 | 9 |
| „ფეიქარი“ (წულუკიძე) | 8 | 3 | 3 | 2 | 7—6 | 9 |
| „მესხეთი“ (ახალციხე) | 8 | 2 | 4 | 2 | 8—6 | 8 |
| „დურუჯი“ (ყვარელი) | 8 | 1 | 6 | 1 | 10—11 | 8 |
| ასკ (თბილისი) | 8 | 2 | 3 | 3 | 9—8 | 7 |
| „ქართლი“ (გორის რაიონი) | 7 | 2 | 3 | 2 | 5—7 | 7 |
| „აერო“ (გალი) | 7 | 2 | 2 | 3 | 6—6 | 6 |
| „მეტალურგი“ (ზესტაფონი) | 6 | 2 | 2 | 2 | 7—8 | 6 |
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 7 | 2 | 2 | 3 | 6—7 | 6 |
| „ზახმარო“ (ჩოხატაური) | 8 | 2 | 2 | 4 | 8—17 | 6 |
| ფიზკულტურის ინსტ. (თბილისი) | 8 | 1 | 3 | 4 | 5—9 | 5 |
| „სამცხე“ (აწყური) | 8 | 2 | 1 | 5 | 6—12 | 5 |
| „ლაითური“ (მახარაძის რაიონი) | 7 | 2 | 0 | 5 | 9—11 | 4 |
| „მშენებელი“ (ბორჯომი) | 8 | 1 | 2 | 5 | 2—8 | 4 |

## ოსტატთა გუნდებთან არსებული სპეციალიზებული სკოლების ტურნირის გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 მაისისთვის

### I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 9 | 6 | 3 | 0 | 17—5 | 15 |
| ახალგ. საფეხბ. სკ. (თბილისი) | 9 | 5 | 4 | 0 | 15—4 | 14 |
| განათლების განყ. (თბილისი) | 9 | 6 | 2 | 1 | 16—8 | 14 |
| „ცისკარი“ (თბილისი) | 9 | 5 | 2 | 2 | 25—8 | 12 |
| ინტერნატი № 1 (თბილისი) | 9 | 5 | 2 | 2 | 20—5 | 12 |
| „დინამო“ (თბილისი) | 8 | 4 | 3 | 1 | 12—7 | 11 |
| „დილა“ (გორი) | 9 | 3 | 3 | 3 | 11—18 | 9 |
| მწვრთნელთა სკოლა (თბილისი) | 9 | 1 | 6 | 2 | 12—14 | 8 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 7 | 2 | 3 | 2 | 10—6 | 7 |
| „შრ. რეზერვები“ (თბილისი) | 9 | 3 | 1 | 5 | 13—19 | 7 |
| „კახეთი“ (თელავი) | 9 | 0 | 4 | 5 | 4—18 | 4 |
| „სპარტაკი“ (ცხინვალი) | 10 | 0 | 2 | 8 | 1—19 | 2 |
| „ალაზანი“ (გურჯაანი) | 9 | 0 | 1 | 8 | 3—25 | 1 |

### II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 10 | 9 | 1 | 0 | 22—3 | 19 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 10 | 8 | 1 | 1 | 22—2 | 17 |
| „მალაროელი“ (ჭიათურა) | 10 | 6 | 2 | 2 | 15—13 | 14 |
| ახალგ. საფეხბ. სკ. (გაგრა) | 9 | 4 | 4 | 1 | 11—9 | 12 |
| „მერცხალი“ (მახარაძე) | 10 | 2 | 5 | 3 | 12—16 | 9 |
| „განთიადი“ (თბილისი) | 10 | 3 | 2 | 5 | 5—8 | 8 |
| „ენგური“ (ზუგდიდი) | 10 | 3 | 2 | 5 | 8—11 | 8 |
| „კოლხეთი“ (ფოთი) | 10 | 2 | 4 | 4 | 8—12 | 8 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 8 | 4 | 0 | 4 | 4—9 | 8 |
| „შუქურა“ (ქობულეთი) | 9 | 1 | 3 | 5 | 6—10 | 5 |
| „დინამო“ (სოხუმი) | 10 | 1 | 2 | 7 | 11—13 | 4 |
| „მეშახტე“ (ტყიბული) | 10 | 0 | 4 | 6 | 6—24 | 4 |

## მასპინძლებმა ცუდად დაიწყეს

თბილისი წლეულს მეორედ მასპინძლობს თანამედროვე ხუთჭიდში საერთაშორისო შეხვედრის მონაწილეებს. უნგრეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენთა გარდა აქ საასპარეზოდ ჩამოვიდნენ სსრ კავშირის პროფკავშირული ნაკრები, აგრეთვე, პროფკავშირულ სპორტულ საზოგადოებათა, მოზრდილთა და ჭაბუკთა ნაკრები გუნდები. საქართველოდან კი, როგორც მასპინძლები, შეჯიბრებაში დაუშვეს მოზრდილთა ერთი და ჭაბუკთა 2 გუნდი.

ასპარეზობის გახსნამდე მწვრთნელები და წარმომადგენლები ფიზკულტურის ინსტიტუტში შეხვდნენ ამ სასწავლებლის რექტორს, საქართველოს თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაციის თავმჯდომარეს, შეჯიბრების მთავარ მსაჯს ვ. სამსონაძეს. 6 მაისს შეჯიბრების ალამი საზეიმოდ აღიმართა სპორტის სასახლეში. ვრცელი სარბიელის შვიდ ბილიკზე ერთდროულად გაჩაღდა მოფარიკავეთა ბრძოლები.

კარგ სტარტზე ხუთჭიდში ბევრი რამაა დამოკიდებული. ამიტომ ყველა მონაწილე თავგამეტებით იბრძოდა, თუმცა ბრძოლის წესია — დამარცხებასაც ვერ გაექცევი. სამწუხაროდ, მარცხის სიმწარე სტარტზევე იწვნია ჩვენმა ნაკრებმა (ა. მაროტი, ნ. ვართანოვი, ნ. ქაჯაია). იგი ერთნაირი ანგარიშით (4:5) დამარცხდა „ნეფტჩისთან“, „ავანგარდთან“ და პროფკავშირულ ნაკრებთან, „ალგასთან“ და უნგრეთის ნაკრებთან კი წააგო — 3:5, ფრედ დაამთავრა შეხვედრა „კალევისა“ და გდრ-ის სპორტსმენებთან და მხოლოდ „სპარტაკთან“ მიაღწია გამარჯვებას — 6:2.

გუნდის წარუმატებლობის მიზეზი შეიძლება საერთაშორისო შეხვედრებში გამოუცდელობა და მასპინძლობით გამოწვეული მღელვარებაც იყო, მაგრამ ფაქტს გვერდს ვერ აუვლი — ჩვენებმა ბევრი ბრძოლა ნებისყოფის სისუსტით წააგეს. კრიტიკულ მომენტში რჩევისთვის არც მწვრთნელებს ეცალათ, რადგან ყველა მათგანი შეჯიბრების მსაჯობითაა დაკავებული. გუნდის წამყვანი წევრი ა. მაროტი სხვებზე მეტად განიცდიდა დამარცხებას, ბრძოლას ბრძოლაზე აგებდა და ყველაზე სუსტი შედეგი (მე-20 ადგილი) ჰქონდა.

—ფარიკაობის დროს იარაღის წვერს უნდა გრძნობდეო,—იტყვიან ხოლმე მოფარიკავენი. ეს დახვეწილ ტექნიკასა და მიზანსწრაფულ შეტევას გულისხმობს. დარბაზში ბევრჯერ გავიგონეთ სპეციალისტების ქება „ნეფტჩის“, „ავანგარდისა“ და „ალგას“ სპორტსმენებისადმი. მათ ყოველ წამს ყველანაირი მეტოქისთვის მზად ჰქონდათ შესაფერი „გასაღები“. ძლიერებს ლამაზი ტექნიკური ბრძოლით ამარცხებდნენ, სუსტებთან შეხვედრისას ულმობლად ნადირობდნენ შეცდომებზე. „ნეფტჩის“ წარმომადგენელმა ი. მედვედევმა ამ დღეს 26 ბრძოლაში 19 გამარჯვება მოიპოვა და გუნდს 1042 ქულა შესძინა. მასთან ერთად ამდენივე გამარჯვებით I-II ადგილები გაიყო გ. კაიაბოგიროვმა („ალგა“), ავანგარდელ ვ. გლიუზლევიჩს 18 მოგებიდან 1000 ქულა აქვს. ჩვენი გუნდიდან 13 მოგებით (790 ქულა) XIV ადგილზეა ვართანოვი.

გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდა „ნეფტჩი“ — 2706 ქულა, II ადგილზეა „ავანგარდი“ — 2622, III — „ალგა“ — 2580. საქართველოს ნაკრებს 2244 ქულა აქვს და 9 გუნდიდან VII ადგილზეა.

ჭაბუკთა შორის ასპარეზობა წარმატებით დაიწყო საქართველოს მეორე ნაკრებმა (ი. ლაქტიონოვი, ი. მაროტი, ა. ჯავახიშვილი). მან პირველი გამარჯვება საქართველოს პირველ ნაკრებთან მოიპოვა—6:3, ასეთივე ანგარიშით დაამარცხა „დაუგავა“, გდრ-ისა და „ბურევესტნიკის“ გუნდებს სძლია—5:4, მოუგო უნგრელებს—7:2 და დამარცხდა პროფკავშირულ ნაკრებთან—4:5. პირად პირველობაში გაიმარჯვა ლაქტიონოვმა — 1110 ქულა (16 მოგება 20-დან). III ადგილი წილად ხვდა საქართველოს პირველი ნაკრების წარმომადგენელს პ. რუბეჟანსკის (14 მოგება 20-დან, 1000 ქულა). მას 55 ქულით და ერთი მოგებით აჯობა პროფკავშირული ნაკრების წევრმა გ. გუჟოვმა.

გუნდურ ჩათვლაში ერთნაირი შედეგით — 2670 ქულით წინ არიან საქართველოს მეორე და პროფკავშირთა ნაკრები გუნდები. მათ 110 ქულით ჩამორჩება „ბურევესტნიკი“.

ვ. პილაძე.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: უნგრეთისა და საქართველოს ხუთჭიდელები შესვენების დროს. მარცხნიდან—ლ. კაიზერი, ი. მაროტი, ს. შაშიჩი და ნ. ხუციშვილი.

ფოტო ავტორისა.



## თხილამურებით ჯომოლუნგმიდან

ცნობილი იაპონელი პროფესიონალი სამთომოთხილამურე იუსირო მიურა აპირებს 1970 წლის გაზაფხულზე დაეშვას მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალიდან ჯომოლუნგმიდან (8848 მეტრი). ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა.

36 წლის იაპონელი უკვე ბევრჯერ დაშვებულა თხილამურებით ალიასკის, ახალი ზელანდიის, ავსტრალიის მთებიდან, აგრეთვე, ფუძის „ღვთაებრივი“ მწვერვალიდან, რომელიც მის სამშობლოშია. მას ეკუთვნის რეკორდი მთებიდან დაშვების სისწრაფეში: საათში 200 კილომეტრი.

მთამსვლელთა ლიგა და იაპონიის სპეციალური სამეცნიერო-ტექნიკური სააგენტო ამ შემოდგომით აპირებენ ექსპედიცია მოაწყონ ნეპალში და ჯომოლუნგმის მისადგომებთან დააფუძნონ საბაზო ბანაკი. აქ იქნება სპეციალური საანგარიშო-გამომთვლელი დანადგარები, კინო და ფოტოაპარატურა. იაპონიის სწავლულები ფიქრობენ, რომ მოიპოვებენ მონაცემებს მთიდან დიდი სისწრაფით დაშვების დროს ადამიანის სხეულზე ტემპერატურისა და ქარის სიჩქარის გავლენის შესახებ. ამ მიზნით მიურას მხრებზე ექნება დამაგრებული ჟანგბადის ბალონი, საგანგებო გამომთვლელები, რადიოგადამცემი და... „სამუხრუჭო“ პარაშუტი.

თავად სპორტსმენს სურს თავისი სარეკორდო გამოსვლა მიუძღვნას მომავალ მსოფლიო გამოფენას იაპონიაში. ფიქრობენ, რომ ტელევიზიის დახმარებით ამ ატრაქციონს ბევრი ქვეყნის მცხოვრებნი ნახავენ.

(გაზეთი „ტრუდი“).

## ოლიმპიელთა მატჩი

**ოდესა, 6 მაისი.** აქ შედგა სსრ კავშირისა და რუმინეთის ფეხბურთელთა ოლიმპიური ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი.

გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა — 3:0. სამივე ბურთი გატანილ იქნა პირველ ტაიმში (გულიამპაიდაროვი, პაპაევი, ზინჩენკო).

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა 11 მაისს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

### თბილისის სპორტული ცხოვრება

**თანამედროვე ხუთჭიდი.** საერთაშორისო შეჯიბრება. 8 მაისი. ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის აუზი. ცურვა. დასაწყისი 18 ს., 9 მაისი. ლისის ტბის მიდამოები. მძლეოსნური კროსი. დასაწყისი 11 ს., 10 მაისი. იპოდრომში. ცხენოსნური კროსი. დასაწყისი 11 ს.

**კალათბურთი.** სპორტის სასახლე. სსრ კავშირის ჩემპიონატი. 8-9 მაისი. „დინამო“ (თბილისი — ვეფ-ი (რიგა). დასაწყისი 20 ს.

**მძლეოსნური ესტაფეტა.** „თბილისის რკალი“. 9 მაისი. სტარტი და ფინიში გმირთა მოედანზე. დასაწყისი 10 ს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაცია და გაზეთ „ლელოს“ რედაქციის კოლექტივი იუწყებიან საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის III კურსის სტუდენტის, სპორტის ოსტატობის კანდიდატის

**ზაურ ივანეს ძე მერიაშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 8, 9 V, 19 ს. გამოსვენება 10 V, 17 ს. აფხაზეთის ქ., ულიანოვის ქ. № 14.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 5 უე 07454